

ალქვერზიმ ავიარი

(Alquerzim Aviar)

პრეპარატის ფორმა: პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

შეიცავს: ენდო 1,4 ბეტა ქსილანაზას, ალფა ამილაზას, სუბტილიზინს.

გამოშვების ფორმა: 5კგ და 25კგ ტომრებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: პრემიქსი, საკვები დანამატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები

ალქვერზიმ ავიარი არის პრემიქსი ფრინველებისათვის, იგი შეიცავს სპეციალურ ფერმენტებს ნახშირწყლებისთვის, ქსილანაზას, ამილაზას, პროტეაზას და გამოიყენება საკვებდანამატად ხორბალთან, ბრინჯთან, ქერთან და სოიოსთან ერთად.

ბოლო დროს მარცვლეულის ბაზარზე მოხმარების მოთხოვნისა და შესაბამისად ფასების ზრდამ, საჭირო გახდა ალტერნატიული მასალების მოძიება. ცხოველების კვებაში ენერჯის წყაროდ საკვები ნივთიერებების ბალანსისათვის დაემატა ფერმენტები. ფერმენტები ამცირებენ საჭირო საკვები ნივთიერებების დისბალანსს, აძლიერებენ საჭმლის მომნელებელ სისტემას ახალგაზრდა ცხოველებში, ამცირებენ ნაწლავების წებოვანებას, თავიდან ააცილებს კუჭ-ნაწლავის პათოლოგიებს და ხელს უწყობს საკვები ნივთიერებების უკეთ შეწოვას.

გამოყენების ჩვენებები

- იძლევა ნახშირწყლების და ცილების უკეთ შეთვისების შესაძლებლობას;
- ამცირებს ნუტრიენტების ხარისხის ცვალებადობას;
- ამცირებს გარემოზე ექსპლუატაციის გავლენას;
- ხელს უშლის დიარეის წარმოქმნას;
- აუმჯობესებს საკვების მონელებას 15-25%-ით, ზრდის პროდუქტიულობას

გამოყენების წესი და დოზირება

გამოიყენება ფრინველის საკვებდანამატად, რომლებიც შეიცავენ ქერს, ხორბალს, ბრინჯს და სოიას.

ემლევა პერორალურად, დოზით 0,25კგ/ტ საკვებთან ერთად;

ბროილერისთვის 0,40კგ/ტ-ზე; კვერცხმდებლებისთვის 0,3კგ/ტ გრანულირებულ საკვებთან ერთად.

შენახვის პირობები: ინახება მშრალ, გრილ და ბნელ ადგილას, კარგად თავმოკრულ პაკეტებში.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოვეტ, ს.ა. ესპანეთი.